მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ტექნიკუმების განვითარებას, საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების სრულყოფას. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე წარმოებაში როგორც უმცროსი სპეციალისტები, მთელ რიგ შემთხვევებში კი როგორც მაღალკვალიფიციური მუშები. იმათ შორის, ვინც საშუალო განათლების იღებს, დაახლოებით 20 პროცენტს ტექნიკუმების კურსდამთავრებულნი შეადგენენ, ტექნიკუმები არსებითად საწარეწველო ფუნქციებისნი პარტნიორები არიან საშუალო განათლებაში, და სწორად არ იქცევიან განათლების აღგილობრივი ორგანიზაციის ის მუშაკები, რომლებიც ზოგჯერ ცდილობენ შეაფერხონ მოსწავლეთა გადასვლა ტექნიკუმებში რვა კლასის დამთავრების შემდეგ.

დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაში შედის ტექნიკუმებისა და სასწავლებლის უმრავლესობა, მეტად უნდა იზრუნონ ან თანამედროვე მატერიალური ბაზის შექმნისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას.

კომუნისტის შშენებლობი ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ამოცანად, რომელშიც ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა განუყოფლად არის დაკავშირებული ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასთან, „ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის „აღზრდასა და სწავლებასთან. და ამაზე, თუ რამდენად ღრმად დავუფუძნებ ახალგაზრდობა ამ ლენინურ პრინციპებს, ბევრად იქნება დამოკიდებული საქმის წარმატება.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის მითითებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ შშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ", ახორციელებენ ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური განათლების გაუმჯობესებისა და იდეური წრთობის ღონისძიებათა ფართო კომპლექსს. უმჯობესდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობა, იყენებენ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველაზე ეფექტურ ფორმებს. ფართოდ ვრცელდება სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლ ი ტ ი კ ურ ი პრაქტიკა. იყენებს რა ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული იდეოლოგიური მუშაობის უდიდეს გამოცდილებას, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლა მუშაობს ინსათვის, რომ გაძლიერების სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, უფრო მტკიცე ბანადოს მომავალ სპეციალისტებზე ჩვენი იდეური ზემოქმედების შედეგები, რაც მათ აიარაღებს მოწინავე რევოლუციური თეორიით კომუნისტური შშენებლობის ამოცანების შემოქმედებითი გადაწყვეტისათვის.

სასწავლებლებში მთელი ინტენსიურ ნაწილია ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარება, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის, კვების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სპორტულ-ჯანმრთელობელი ბაზის გაფართოებისათვის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

საზოგადოების ოქროს ფონდი უწოდა თავის სტატიაში სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, თქვა შემდეგ, მინისტრმა. სწორედ მასწავლებლები, მათი მეცნიერული და იდეური დონე, მათი თავდადებული შრომა განსაზღვრავენ შემოქმედებითი სპეციალისტების მომზადებისა და მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის სასწავლებლთა მთელი საქმიანობის წარმატებას. მასწავლებელთა შემადგენლობასთან მთელ მუშაობას წარმართავთ ამისათვის, რომ თვითეული მასწავლებელი იყოს შემეცნებითი საქმიანობისა და შემოქმედებითი დამოუკიდებელი მუშაობის ნამდვილი ორგანიზატორი, სტუდენტი ახალგაზრდობის უნარიანი აღმზრდელი.

მომხსენებელი შეეხო უმაღლესი სასწავლებლების როლს მილიონზე მეტი სპეციალისტის კვალიფიკაციის ამაღლებაში, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა წვლილს წარმოების სრულყოფასთან დაკავშირებულ კვლევაში. სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნებისათვის კადრების მომზადებას. ახლა ჩვენს სასწავლებლებში სწავლობს საზღვარგარეთის 130 ქვეყნის 36 ათასამდე კაცი. საბჭოთა დიპლომი უკვე მიიღო 60 ათასმა უცხოელმა მოქალქემ. საბჭოთა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლა დიდ დახმარებას უწევს ბევრ ქვეყანას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ეროვნული სისტემების ჩამოყალიბებაში, ეხმარება მათ ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების შშენებლობასა და მოწყობაში, გზავნის „ექათასობით საბჭოთა მასწავლებელს.

უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების, ფარფთოა ამოცანები, რომლებსაც პარტია სახავს ახალგაზრდა მუშების მომზადების გაუმჯობესების საქმეში, აღნიშნავს მომხსენებელი. პროფკავშირთა XV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასიათა თანამედროვე მუშა. თანამედროვე მუშა — ეს არის პოლიტიკურად აქტიური ადამიანი, რომელსაც აქვს ტექნიკური და ეკონომიური ცოდნა, ადამიანი, რომელსაც აქვს ფართო კულტურული ორიზონტი და შეგნებულად და შემოქმედებითად ეკიდება შრომას.

ახალგაზრდებისათვის ამ თვისებების ჩანერგვა ჩვენი სასწავლებლების მთავარი ამოცანაა, სამრეწველო საწარმოებში, შშენებლობებზე, სამეურნეო ფერმებში და კოლმეურნეობებში მათი კულტურამამაღლებელნი შეადგენენ კვალიფიციური კადრების ძირითად ნაწილს. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში — მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში, — მეფოლადეებისა და ფოლადის ჩამომსხმელების 80 პროცენტმა, მეალეკვების 70 პროცენტმა, ოპერატორებისა და შემდუღებლების 80 პროცენტმა მომზადება გაიარა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

პროფესიულ-ტექნიკური სკოლის აღსაზრდელთაგან ბევრი გახდა წარმოების მოწინავე და ნოვატორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი.

მშრომელი ადამიანები დიდი სიყვარულითა და გულითადობით იგონებენ საფაბრიკო-საწარმოო სწავლების პირველ სკოლებს, სახელოსნო სასწავლებლებს, პროფტექნიკურ სასწავლებლებს — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარების მთელ სახელოვან გზას, რომელმაც ცხოვრების საგზური მისცა 31 მილიონზე მეტ საბჭოთა მუშას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკები აქტიურად შრომობენ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის. მომხსენებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 3,5 მილიონზე მეტი კვალიფიციური მუშა — ეს შეადგენს მთელი მერვე ხუთწლედის გამოშვების ნახევარზე მეტს. მიმდინარე წელს მომზადდები 1817 ათასი კაცი. ეს ვინ არ არის, რომ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის დარგებისათვის 9 მილიონზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშის მომზადების შესახებ შესრულდება.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არის 5.700 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომლებშიც 1.100 პროფესიას ეუფლება 2,6 მილიონზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მაგრამ კვალიფიციური მუშების მომზადების მასშტაბი სისტემაში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების გათვალისწინებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ერთი წლის წინათ მიიღეს დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ". მასში ადნიშნულია, რომ საჭიროა გაფართოვდეს და განმტკიცდეს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, როგორც ქვეყნის მუშათა კლასის ახალგაზრდა შეფსების მომზადების ყველაზე პერსპექტიული ფორმა, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას.

ხუთწლედის დამლევისათვის ამ სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყველა მოსწავლის 40 პროცენტს. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად ვითარდება ტექნიკური სასწავლებლები, რომლებშიც მაღალ კვალიფიკაციას იღებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა.

უახლოეს წლებში 1-2-წლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში უნდა მოვამზადოთ მასობრივი პროფესიების მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მუშათა კლასის რიგების გეგმაზომიერი შევსების მთელი მუშაობა სრულდება სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უაღრესად აქტიური მონაწილეობით.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელზეც აქტიურად შრომობენ ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკები და პროფტექნიკური განათლების ორგანოები, არის მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლება. ბევრ სასწავლებელში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, ოფელთვის როდია გათვალისწინებული მუშათა შრომის შინაარსის ცვლილებანი, მუშათა ადზრდილი მოთხოვნები მომავალ მუშათა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისადმი. ეს სანელოვანებენი სამართლიანად აღნიშნეს დეპუტატებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების სხდომებზე.

ორატორმა განაცხადა, რომ ამჟამად ხორციელდება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფის ღონისძიებანი. ეს მუშაობა სრულდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერთა აქტიური მონაწილეობით.

მომავალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებულია მთლიანად ყველა პროფესიის მიხედვით, დამთავრდეს საშუალო სკოლების გადაყვანა სწავლების ახალ შინაარსზე.

პრაქტიკულ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმის, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბოთ კომუნისტური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოთ მაღალი მორალური თვისებები, საბჭოთა პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, მზადყოფნა, დაიცვან და ამრავლონ მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციები.

ფართო გავრცელება ჰპოვა ახალგაზრდობის აღზრდამ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე. მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი დისციპლინები.

სკკპ XXIV ყრილობის მასალების შესწავლისათვის მუშაობის გაგრძელება და შემადგენელი ნაწილი გახდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ღრმად შესწავლა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი მოითხოვს ინჟინერ-პედაგოგიური კადრების სასწავლებლების უზრუნველყოფის მუშაობის გაუმჯობესებასაც, თქვა ა. ა. ბულგაკოვმა. ზოგიერთ პოლიტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში უკვე დაიწყო ინჟინერ-მასწავლებლთა მომზადება. ამავე დროს საჭირო გახდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მასწავლებლები — პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულნი მომზადებული იქნან სამუშაოდ არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, არამედ პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებშიც.

ორატორი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის პრობლემას, ამასთან ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებებს ყველაზე ეფექტიანი მუშათა კადრებზე. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად უახლოეს დროში უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განვითარებისათვის. ჩვენ მართლზომიერად მიგვაჩნია საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ ასეთი სასწავლებლები, როგორც წესი, შეიქმნას ჩვენი ქვეყნის თვითეულ სასოფლო რაიონში. იმ შესაძლებელს ადგილის დაჩქარდეს საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების, სოფლად ახალგაზრდა კადრების შენარჩუნებისა და ეკონომიური ნორმების შექმნის ამოცანის გადაწყვეტა.

შომხსენებელმა დიდი შეშფოთება გამოთქვა სასწავლებლების მშენებლობასთან დაკავშირებით. პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების ქსელი ოთხეული ფენებლ ბ ბ ბ

მოძმე

ᲓᲔᲚᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲑᲐᲙᲘ, 16 ივლისი. (აზერინფორმის კორ.). რეპუბლიკის კულტურის სამინისტროს საგამოფენო დარბაზებში გაიხსნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 300-ზე მეტი ნამუშევარი. ახლანდელი ექსპოზიცია ამიერკავკასიელ მხატვართა ნამუშევრების იმ დიდი გამოფენის ნაწილია, რომელიც მოსკოვში უჩვენეს სხვა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოტანილია მთელი რიგი ფართოდ ცნობილი ნაწარმოებები. მათ შორის არის მარტიროს სარიანის, ტარონ სალახოვის, უჩა ჯაფარიძის ტილოები, გ. თოიძის — „საქართველო — ჩემი სიყვარული“, გ. ელოვანის — „დუშელის ოჯახი“, ბ. შველიძის — „მოგონება“, მ. აბდულაევის — „რაჯაბტანელი ქალები“, ს. ბაბლულაშვილის — „კაჩაის მზეთუნახავი“, ნ. აბდურახმანოვის — „გაზაფხულის დღე თბილისში“, ა. ბაბაეევა-მელიქიანის, ე. ზაქარიანის, ა. აკოფიანისა და სხვათა ნამუშევრები.

ქანდაკების განყოფილებაში ექსპონირებულია მთელი რიგი ნამუშევრები, რომლებშიც შიცხორცშესხმულია დიდი ლენინის სახე. მათ შორის არის ო. ბეჯანიანის სკულპტურული პორტრეტი „ვ. ი. ლენინი“ (ხე), ი. ნიკოლაძის კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი — „ისკრის“ დამაარსებელი“ (ბრინჯაო), სარინტერესო ო. ელდაროვის ნამუშევარი — „მხატვარ ხ. ბაბლულაშვილის პორტრეტი“, ფ. ბაკიხანოვის — „მოჭიდავეები“ და სხვ.

გამომსახველი, ლირიკული ა. რზაკულიევის, მ. რახმანზადეს, რ. ბაბაევის, ვ. ბაბაიანის, დ. ნოდიას გრაფიკული წყვილის ილუსტრაცია წარმოდგენილია მ. პეტროსიანის, ა. უნანიანის, ვ. ფარაფონის ნატიფი ნამუშევრებით.

მდიდარი და მრავალფეროვანია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება. აქ ექსპონირებულია ნოსტები, ერთიანი ბუფეტები, ჭიქურობა, საუკეთესო ნაწარმი.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ნაბი ბაბერი და სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტარონ სალახოვი.

ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲔᲜ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲠᲔᲑᲡ

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშავა რესპუბლიკის მეწინავე ძალების პროგნოზის მეთოდის შესწავლის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის კომპლექსური გეგმა.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში რესპუბლიკის მეცნიერებს იხმარებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დიდმიწის ფიზიკის, მოსკოვის დიდმიწის მაგნეტიზმისა და იონოსფეროს ინსტიტუტი, საბჭოთა კავშირის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

დიფანის რაიონში მდინარე გეხის აუზში უკვე ამოქმედდა გეოფიზიკური ობსერვატორია.

სოფელ გარნის ახლოს შენდება მიწისქვეშა გეოფიზიკური ობსერვატორია. აქ იწყრმოებს კვლევა დედამიწის ზედაპირის რხევის პროგნოზირების საკითხებზე.

ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲓᲐᲜ ტუნისში გაიმართა სოხეთი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. იგი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იქნება ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც კართაგენში იხსნება. რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი მუსიკალური კოლექტივი ასეთივე საგასტროლო მოგზაურობას გამართავს ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

— აფრიკაში მიგზავრეს მდიდარი და საინტერესო რეპერტუარი, — თქვა არმენპრესის კორესპონდენტთან საუბარში სამხატვრო ხელმძღვანელმა, სომხეთის სახალხო არტისტმა ედგარ ოპანესიანმა. — მაყურებლები ინტერესით გაეცნობიან ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას. ფესტივალის მონაწილეებს ვუჩვენებთ ახალ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ კომპოზიციას „დავითი და ხანდუთი“. მაყურებლებს გავაცნობთ აგრეთვე სსრ კავშირის სხვა ხალხების ცეკვებს. ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება „რუსული ცეკვა“ და „ქართული ცეკვა“.

სომხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი წარმატებით გამოსულა ეგვიპტის, სირიის, ირანის, ბულგარეთის საკონცერტო დარბაზებში. გასტროლები გაუმართავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, შვეიცარიაში. (არმენპრესი).

ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘ

საქართველოს ძველთაგანვე დღეგრძელთა მხარეს უწოდებენ. მთისა და ზღვის ჰაერის შეზავება, ღამაზი ბუნება, შეძლებული და კულტურული ცხოვრება ხელს უწყობდა აქ დღეგრძელობის მთელი კერების შექმნას. ყველაზე მეტი დღეგრძელი ცხოვრობს შავი ზღვის ნაპირზე კოლხიდის დაბლობში და კავკასიის მთავარი ქედის ფერდობებზე მდებარე მთის სოფლებში.

საქართველოს გერონტოლოგიური ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც კვლევას უსუბ მეცნიერულ საფუძველზე ეწევიან, დიდსანს სიცოცხლისათვის ყველაზე ხელშეწყობად მიაჩნიათ ადგილები, რომლებიც მდებარეობს 500-1.500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც ერთმანეთთან შეხამებულია მთისა და ზღვის ჰაერი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ, მარჯვნივ — კარგია გახეირნება სოხუმის ზღვის ყურეში! აფხაზი დღეგრძელები (მარცხნიდან მარჯვნივ): თემურ ვანარა (110 წლისა) სოფელ ლიხნიდან, კოლმეურნეები სოფელ დურიფშიდან მაადან ხაკანია (94 წლისა), მახთი ტარკილი (106 წლისა), ჯგვათ გერზმავა (78 წლისა) და ლიხნელი კოლმეურნე კოწია ძიძარია (73 წლისა) მიეხალმებიან აფხაზეთის დედაქალაქიდან ჩამოსულ ხატუმრებს; ზემოთ მარცხნივ — ორი ძველი მეგობარი სოფელ ლიხნის კოლმეურნეობიდან 110 წლის თემურ ვანარა (მარცხნივ) და 73 წლის კოწია ძიძარია; ქვემოთ — 84 წლის კოლმეურნე სოფელ კუტოლიდან ტარკუკ ლასურია შვილიშვილებით ბესლანითა და მადინათი გახასიერებლად მიდიან.

ი. ჭოსონიძისა და ბ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში უდიდესი წარმატება ჰქონდათ ამიტომ, რომ ამ ვიზიტების მიზნები შეესაბამება ხალხთა მისწრაფებებს, განაცხადა თემთა პალატის წევრმა ლეიბორისტმა რეიმონდ ფლეტჩერმა.

უდიდესია ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შეხვედრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. თანამშრომლობის პრინციპი აღარ არის შორეული იდეალი, იგი ხორციელდება, ხაზგასმით აღნიშნა ინგლისელმა პარლამენტარმა საადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობამ საერთაშორისო დაძაბულობის შვიდწლიანი პროცესიდან ლონისძიებათა განხორციელებისა და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის მიმართულებით უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთის საზოგადოებრივ აზრზე, თქვა რ. ფლეტჩერმა. ამასთან მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი დონის შეხვედრებს „წინანდელი შიშის“ გაფანტვისა და საერთაშორისო ატმოსფეროს ჯანსაღად ფორმირების შექმნისთვის.

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ

ᲑᲐᲚᲓᲐᲓᲘ, 17 ივლისი. (საკდესი). ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა.ჰასან ალ-ბაქრი, გუშინ საღამოს გამოვიდა ტელევიზიით ეროვნული დღესასწაულის — 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის 15 წლისთავისა და 1968 წლის 17 ივლისის ამბების 5 წლისთავის გამო, რომელთა შედეგად რესპუბლიკის სათავეში ხაუდგა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია.

საბჭოთა კავშირმა, განაცხადა, კერძოდ, პრეზიდენტმა, დიდი დახმარება გაგვიწია. იგი ჩვენს მხარეზე გამოდიოდა ძნელ წუთებში და ასევე იქცევა ახლაც. ჩვენ, თავის მხრივ, ეცდილობთ შევინარჩუნოთ ერაყ-საბჭოთა კავშირისა და არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, განამტკიცოთ და განვავითაროთ იგი.

„ერაყისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, — ხაზი გაუსვა ამჟამად ჰასან ალ-ბაქრმა, — სავსებით და მთლიანად შეესაბამება არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლას იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ“.

Ე. ᲠᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲛᲘᲡᲒᲠᲔᲛᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲘᲛᲘ, 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (საკდესი). ამას წინათ შედგენილი იტალიის მთავრობის მეთაურმა ე. რუმორმა ორშაბათს იტალიის პარლამენტის სენატსა და დეპუტატთა პალატაში გააკეთა საპროგრამო განცხადება.

ე. რუმორმა განაცხადა, რომ თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებაში მთავრობა იხელმძღვანელებს ევროიანელი ერების ორგანიზაციის პრინციპებით, და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ღონისძიებებში, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება ევროპაში.

მსოფლიო ᲣᲙᲐᲜᲙᲚᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲧᲘᲚᲓᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ

ᲡᲐᲠᲐᲯᲔᲕᲝᲡᲘ წითელი ჯვრის უმაღლესი ჯილდო — „საპატიო ნიშანი“ 16 ივლისს გადაეცა ამერიკელ მოქალაქეს ბარლ ბრემპოლს. მის სახელთან დაკავშირებულია ამბავი, რომელმაც ფართო და საპატიო გავრცელება ჰპოვა. სამოქალაქო ომის წლებში პეტროგრადელი ბავშვების დიდი ჯგუფი, რომელიც ურალში წაიყვანეს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კოლჩაკის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მფარველობა და მეურვეობა გაუწიეს 800-მდე ბავშვს. ბავშვებს აქტიურად დაეხმარა და პეტროგრადში მათს დაბრუნებას ხელი შეუწყო ამერიკელმა მოქალაქემ ბ. ბრემპოლმა.

მას შემდეგ ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა. და აი ახლა „პეტროგრადის კოლონიის“ ყოფილ აღსაზრდელთაგან ზოგიერთი მოვიდა საბჭოთა წითელი ჯვრის ალმასკომში ბარლ ბრემპოლთან შეხვედრაზე. სტუმარს ჯილდო გადასცა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ალმასკომის თავმჯდომარემ ნ. ვ. ტრიანამ, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება ორი ქვეყნის საზოგადოებათა მეგობრული ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა. (საკდესი).

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ დაიწყო დიდი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მასში 16 გროსმეისტერი და ოსტატი მონაწილეობს. ჰოლანდიელ ოსტატებს საშუალება ეძლევათ გროსმეისტერის წოდების მოსაპოვებლად იბრძოლონ.

საბჭოთა კავშირიდან ბრძოლაში ჩაება მსოფლიოს ორი ექს-ჩემპიონი — სპასკი და პეტროსიანი. მათი მეტოქეები არიან ევროპისა და ამერიკის უძლიერესი მოჭადრაკეები.

ᲤᲐᲒᲑᲣᲙᲘᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲞᲧᲝ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ — ᲡᲐᲥᲛᲘᲕᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘᲡ გუნდებისა და სპეციალიზებული სპორტსაოსტების რესპუბლიკურ ბირველობაზე მოზარდთა შორის, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის (მწვრთნელები ვ. ოდიკაძე, თ. მელაშვილი), ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის (მწვრთნელი ვ. ელოშვილი) და ნორჩ დინამოელთა (მწვრთნელი — გ. ბაგუა, ო. უმვრიძე) გუნდებმა.

მოზარდთა საკავშირო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის სამივე გუნდმა.

ზემოდდასახელებულ ტურნირებში სპეციალური პრიზები ჩვენი რესპუბლიკიდან მოიპოვეს საუკეთესო მეკარისა — ი. ყარყარაშვილმა (თბილისის განათლების განყოფილება) და ლ. მაყაშვილმა (ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), საუკეთესო მცველისა — ლ. მელიქაძემ (განათლების განყოფილება), საუკეთესო ნახევარმცველისა — გ. ჩიგაძემ (ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), საუკეთესო ბომბარდირისა — ო. ცინცაძემ (განათლების განყოფილება).

ᲐᲛᲝᲬᲠᲓᲕᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝ-ᲜᲐᲢᲝ ᲜᲘᲣᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ივლისი. (საკდესი). ტიატიას გულკანის ამოფრქვევა, რომელიც კურილის კუნძულზე მდებარეობს, გრძელდება. ფერფლის ამოფრქვევა ახალწარმოქმნილ კრატერიდან მიმდინარეობს აღმოსავლეთის ფერდობის ძირას.

ამოფრქვევის ცენტრის მახლობლად იმყოფება საბჭოთა მეცნიერების ჯგუფი. მეტეოროლოგთა დაკვირვების თანახმად კვამლის სვეტი ტიატიას მწვერვალზე ხუთ კილომეტრს აღწევს. ღამით მკაფიოდ მოჩანს ცეცხლი, გუგუნი გაისმის ორმოცდაათ კილომეტრზე. ვულკანის მიდამოებში ფერფლის ფენა 60 სანტიმეტრს აღწევს.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-14 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-29, მთაში — 19-22 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგიერთ რაიონში წვიმა ელჭეჭით, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-30, მთაში — 16-20 გრადუსი სითბო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ელჭეჭის ხასიათის მცირე წვიმა მოსალოდნელი, ტემპერატურა 28-30 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1973-1974 ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

1. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

2. ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია, ვეტერინარია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

3. ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **საგეგმო** — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

4. ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ (ᲛᲧᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲜᲪᲮᲘ) ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

5. ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲡᲘᲡ (ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

აგრონომიული — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **საგეგმო** — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1) არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე — საბუღალტრო აღრიცხვის განხრით.

2) საშუალო სკოლის ბაზაზე ა) მეხილეობა-მევენახეობის განხრით, ბ) საბუღალტრო აღრიცხვის განხრით.

6. ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე (ქართული ენაზე), **მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე (აზერბაიჯანული ენაზე);

7. ᲒᲔᲝᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

აგრონომიული — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეხილეობა-მებოსტნეობა-სუბტროპიკული განხრით** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

8. ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘᲡ (ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

აგრონომიული, ხაბუდალტრო — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაგეგმო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

9. ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეფრინველეობა** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **საკონსერვო ტექნოლოგია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

10. ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲠᲘᲗᲘᲡ (ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — საშუალო სკოლის ბაზაზე, **გამწვანება** — საშუალო სკოლის ბაზაზე, **საგეგმო** — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **საქმის წარმოება, საკონსერვო ტექნოლოგია** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

11. ᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

12. ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

13. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეცხოველეობის მექანიზაცია** — საშუალო სკოლის ბაზაზე

14. ᲙᲣᲚᲐᲒᲘᲡ (ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲖᲝᲝᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ

ზოოტექნიკური — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ვეტერინარია** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეფრინველეობა** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

15. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაგეგმო** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

16. ᲗᲐᲠᲯᲣᲚᲘᲡᲘᲡ (ᲑᲐᲠᲓᲐᲒᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲨᲘ

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეცხოველეობის მექანიზაცია** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

17. ᲥᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

აგრონომიული, ხაბუდალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

18. ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

19. ᲪᲮᲘᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

20. ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

ვეტერინარია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

21. ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

ვეტერინარია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **ხაბუდალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

22. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲠᲘᲐᲜᲝᲛᲙᲐᲠᲘᲡ (ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ

მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ზოოტექნია** — საშუალო სკოლის ბაზაზე, **ვეტერინარია** — არასრული საშუალო სკოლისა და საშუალო სკოლის ბაზაზე;

**23. Წ